# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება.
თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, სატისოვის სახლში: თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი.
*Въ Тифлисъ, въ контору редакціи* «**СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ**», *при типографіи Дубелира* (**Г. Церетели и К°**).

№ 19 შაბათი. IV 30 ოკტომბერი, 1871 წ.

**შინაარსი:**

დარიგება ცხვრის ფარების მეპატრონეთათვის.—ყმაწვილების აღზრდაზე.—ბუნების მეცნიერებიდგან:— ობობიები.— ქაღალდის კეთება.—რა გავლენა აქვს კაცის სიმრთელეზე სახლებს და ადგილს.—განცხადება.

## დარიგება ცხვრის ფარების მეპატრონეთათვის.

ოჯახობაში ბევრი არ არის ისეთი საქმეები, რომ ამდენი გაუთავებელი ბაასი და ლაპარაკი მოსდევდეს, როგორც ამ ქვემოხსენებულს საგანს. რადგან ქვეყანაზე ერთი გვარის ცხოვლები მრავალ ნაირნი არიან და კაცს უნდოდა ყოველთვის საუკეთესო თვისების საქონლის გაშენება. ამისთვის იმან დაიწყო სხვა და სხვა ნაირი და კარგი თვისების ცხოვლების ერთმანეთზე დართვა და შენიშნა კიდეც, რომ კარგი აგებულების დედმამას ყოველთვის კარგი შთამომავლობა თაობა გამოსდიოდა და ამნაირად საუკეთესო თვისების ცხოვლების ნიადაგ ერთმანეთზე დართვით თან-და-თან გააუმჯობესა თავის თავის საქონელი და ბოლოს რათვისებასაც მეოჯახე ებედა იმ ცხვრების ჯოგი გაიშენა.

გაუმჯობესებულ შინაურს ცხოვლსა და გარეულს შუა ისე დიდია, რომ სწორეთ მოგახსენოთ საუკეთესო გვარის მერინოსების გაჩენა მარტო კაცის ხელს მიეწერება. მაგრამ ის ძველი დრო რომ მოვიგონოთ, როცა დაუწყიან ცხვრის გაშენება და აქამომდე მოვიდეთ დავრწმუნდებით, რომ მალიან ნელ-ნელა და მძიმეთ გაუკეთესებულა ცხვრის ჯოგის საუკეთესო ჯიში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთ შინაურ პირუტყვისგან ისეთ მრავალს გვარს თვისებას არ ითხოვს კაცი, როგორც ცხვრისაგან ცხვარმა უნდა მოგვცეს მატყლი, ტყავი, ქონი და ხორცი, ზოგ ალაგს რძეს და ყველსაც თხოულობენ. განა შეიძლება ერთ ცხოვლს ათასი ტყავი-გამვრეს, როგორ იქნება, რომ ერთმა ცხოველმა ყველა ზემოხსენებული ნივთები საუკეთესონი მისცეს კაცს. ბევრს შეუნიშნავს, რომ თუ მერინოსი დიდი გაიზარდა, ისე წმინდა ბეწვი აღარ ამოსდის; როგორც მოელიან. მაგრამ მომეტებული ნაწილი ცხვრის მეპატრონეებისა მაინც ცდილობს, რომ იმათ ფარას ბეწვიც ბევრი ჰქონდეს და ხორციც.

მცირე როსსია და ავსტრია ერთმანეთთან გაჯიბრებულნი არიან ცხვრის ფარის გაშენებაში: არც ერთი იმათგანი არ აკლებს ცდას, რომ თავიანთი ცხვრის ფარები გაამრავლონ და გააუმჯობესონ; შურის თვალებით შესცქერიან ერთმანეთს, რომ ერთმა მეორეზე უკეთესი ჯიში არ გააშენოს. ვისაც კი ცოტათ მაინც გაუმჯობესებია თავისი ფარა ის ცდილობს დაჰყოს ჯოგი ნაწილ-ნაწილათ მატყლის ღირსების მიხედვით, რადგან მდაბალი ჯიშის ცხვრებსაც დიდი განსხვავება აქვთ ერთმანეთში მატყლის სიწმინდით, სისუფთავით, სირბილით და სხვ.

* * *

დამაკების დრო რომ მოვა, მაშინ ჯოგის დაყოფა ნაწილ-ნაწილათ მარტო მატყლის სიწმინდის მიხედვით საკმაო არ არის: სხვა ნაირ მატყლის თვისებასაც უნდა მიხედოს მეპატრონემ ამ დროს და ისე გაანაწილოს კიდევ ცხვრის ჯოგი. ამ დროს უნდა დასტოვოს ხოლმე ის ნეზვი ცხვრები, რომელთაც საუკეთესო თვისება მოსდევს შთამომავლობით და სხვა ნაკლულოვანი კრავები ჯოგში კი უნდა გასწყვიტოს. ამ ორი განზრახვის ასასრულებლათ საჭიროა მეტად კარგი თვისების ვერძების მიშვება ნეზვებზე რადგან შენიშნულია, რომ არც ერთს საქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელში შვილი მამას იმდენათ არ დაემგზავსება, როგორც კრავი მთავარს ვერძს. დამაკების დრო რომ მოვა, მხოლოდ მაშინ შეურევენ ჯოგში ვერძებს. იქნება იკითხოს მკითხველმა, რადრო უფრო კარგია დამაკებისთვისო?—ეს მეოჯახეზეა დამოკიდებული. რომელი დროც უფრო ეხერხება მამულის მეპატრონეს ოჯახობის მოსავლელათ, ის უნდა ამოირჩიოს. ცხვარი შვიდს თვეს მაკობს, ამისათვის ძალიან ადვილია, იმის დამაკების დროს გამოანგარიშება. რუსეთის სამხრეთისკენ ჩვეულებრივათ ოკტომბერში ამაკებენ ცხვრებს, მაშასადამე მარტის თვეში კრავები ეყოლებათ.

* * *

ვინც გულსმოდგინე ცხვრის მაშენებელია, იმათ ვურჩევ, შემდეგი დარიგებები იხმარონ.

1 თუ ჯოგი მრავლობს, მაშინ დიდი თვალყურის დევნება უნდა, რომ მხოლოდ ამორჩეული ვერძები და ნეზვები დაერთონ ერთმანეთს. მე რამდენჯერმე მისყიდნია-ამბობს ამის დამწერი-ნეზვები მხოლოდ იმ განზრახვით, რომ შემძლებოდა ჩემი საკუთარი ჯოგის ნეზვები, რომლების კმაყოფილი არ ვიყავი, გამეყიდნა. თავიდგანვე როცა ცხვრის ჯოგის გაშენება დავიწყე, მე ნიშნები დავდევი თითო-თითოთ ყოველს ცხვარს, ისე რომ თითო ცხვრის შთამომავლობას სულ ერთი და იგივე ნომერი ჰქონდათ და ამ შთამომავლობას ერქვა დედის სახელი. ის შენობა, რომელსაც ცხათათ ეტყობოდა გაუმჯობესობა საუკეთესო თვისების გამოჩენით, იმას ვაძლევდიო პირველს ნიშანს, და რომელსაც არავითარი გაუმჯობესობა არ ეტყობოდა, იმათ დავუსვამდით უმცირესს ნიშანს. რომელ შენობებსაც საერთო მამები ჰყვანდათ, ისინი პირველათ თითქმის ყველანი ერთმანეთს ჰგავდენ, მაგრამ თექვსმეტი წლის შემდეგ ნიადაგ კარგი დედ-მამის გამორჩევით ეს შენობები მეტად გაუმჯობესდენ და გაკეთდენ და გაირჩენ ერთმანეთთან. ამისთანა მოქმედებას მეტად მშვენიერი შედეგი ჰქონდა. ამითი ჩემი ჯიში საუკეთესო თვისებისა და ერთ გვაროვანი შეიქნენ.

2. ცხვრის მაშენებლებმა უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება, რომ ხმელი საკვების ნედლზე შეცვლის დროს, ან ნედლისა ხმელზე შეცვლის დროს უცებ არ მოახდინონ ეს, არამედ თან-და-თან შეაჩვიონ ახალს საკვებსა.

3 გაზაფხულზე და ზაფხულს ცხვრის ჯოგი დიდხან მზეში ან ხმელს ქარიან დღეში არ გააჩერონ, არამედ უნდა გარეკონ ტყეში, ან რამდენსამე ხნობით ფარდულში შერეკონ.

4 ჩვეულებრივ საკვებს გარდა ხან-და-ხან მარცვალიც უნდა აჭამო.

5 შემოდგომაზე და ზამთარში მარცვალი ცოტა უნდა აძლიონ და კარგი ნოყიერი თივით უნდა შეატანებიო. ძალიან ნოყიერი ხმელი საკვები თუ საკმაოდ ეძლევა, მაშინ ნედლი საკვები აღარც კია საჭირო.

6 ცხვრების ჯოგი ცუდს ამინდებში კარგათ გაკეთებულ ფარეხებში უნდა ჰყავდესთ დამწყვდეული, შიგ ფარეხში ნიადაგ ახალი ჰაერი უნდა ტრიალებდეს, რომ მატყლი მუდამ საკმაოდ იყოს ნამიანი.

7 ამისთანა გარემოებაში რომ არავითარი სენი არ შემოეპაროს ჯოგს, საჭიროა ცოტაოდენი დონის მომგვრელი საკვები ან მარილი მისცენ.-ამისთანა მოვლით მატყლი იწყებს რიგიანათ ზრდას და მიეცემა დიდი სირბილე. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამისთანა ჯოგს მალ-მალე სისხლის განახლებაც უნდა; ესე იგი დროსა და დროს გამოშვებით უნდა იყიდოს ხოლმე სახელ განთქმული ჯიშის ვერძები დასამაკებლათ, თუმცა ესეები ბევრს შრომას და მეცადინეობას ითხოვენ ჯოგის მეპატრონისგან, მაგრამ მაგიერათ თავის შრომის ფასს ერთიორათაც აიღებს.

---

# ყმაწვილების აღზრდაზე

## წერილი II (გაგრძელება)

ახლავე უნდა დავასრულო ჩემი წერილი, თორემ მე ვიცი დედები დაიღლებოდნენ და იქნება კარგებიც შემომიკურთხონ.... მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ცოტა მოთმინებაც იქონიოთ და ერთი-ორიოდე სიტყვა ამაზე მათქმევინოთ, რომ თქვენს შვილს სწავლის სურვილი რომ არა ჰქონდეს, როგორ უნდა გაუხსნათ? პირველ შემთხვევაში ხომ არ იცის თქვენმა შვილმა სწავლის სარგებლობა და ის ამ უკანასკნელს გიყობას ამჯობინებს, თქვენ აი რა უნდა ჰქნათ: თქვენ ყმაწვილებში მხოლოდ ერთი ურევია ცუდლუტი. რომელიც თქვენ ყურს არ გიგდებთ. ის უნდა დასაჯოთ, თუ არაფერი იცის, თავისივე უცოდინრობით,—იმაზე დიდი სასჯელი აღარ შეიძლება, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ:გსთქვათ თქვენს ყმაწვილებს უბნებით ისტორიას, რომელსამე იმისთანა საგანზე, რომელიც იმათ თვალ წინ არის და ხედვენ; იმის დასარწმუნებლათ მიითვისეს რამე თქვენი ნალაპარაკევიდგან, თუ არა, თქვენ ამეორებინებთ რაც ილაპარაკეთ. ყველა ბავშვები დიდის თავაზით აღასრულებენ თქვენს ბრძანებას, რადგანაც იმათ ესიამოვნებათ, რომ იმათი ტიკტიკი თქვენ მოისმინეთ, მაგრამ აქ თქვენ ისეთს სახეს იღებთ, რომ ვითომც სრულებითაც არ საჭიროებთ იმათს ლაპარაკში და ყურს მხოლოდ მათინებითით უგდებთ. მოსდება თითონაც გთხოვონ მოსმენა, მაგრამ აქ თქვენ სხვა რასმე აკეთებთ და იმათ ეტყვით: «ცოტა მოიცადეთ, მე ჯერ თქვენთვის არა მცალიან.» ყმაწვილს ძალიან ესიამოვნება ლაპარაკი, ამისათვის, რომ ესეც ისეთივე მოთხოვნილებაა იმისთვის, როგორათაც სხვა გვარი სხეულის მოძრაობა. ცოტათი რო მოიზრდება ყმაწვილი ტვინიც, როგორც სხვა ორგანები, მოძრაობას თხოულობს, ამისათვის (აქ საჭიროა შევნიშნოთ) თქვენ ის შეძლებისამებრ უნდა ამოქმედოთ, ესე იგი, სხვა-და სხვა დიდს ჭეშმარიტებას, რომელშიაც იმათი ჩვილი გონება ვერ მიუწვდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტოვებთ და მარტივი საგნებიდგან უწყობთ. თქვენის სწავლებით თქვენ იმათ იმასაც აგებინებთ, რომ ცოდნა იმათთვისვე ძალიან სასარგებლო და საჭირო, და თქვენ იმისთვის არ ასწავლით, რომ ვითომც თქვენი სასარგებლო იყოს. მაგალ. ჰკითხავთ უმაწვილებს: «აბა ამა-და-ამ ზღაპარს ვინ იტყვის?» «მე, მე, მე,»—აღარც კი დაალცდის ერთმანეთს ისე წამოიძახებენ. მხოლოდ ერთი მათგანი, სონკა, უარს გეუბნება მე არ შემიძლიანო. ჯერ გაიგებთ მართლა არ იცის სონკამ, თუ იცის და თქმა არ უნდა? თუ ეს უკანასკნელი მართალია, მოუბრუნდებით ბავშვებს და ეტყვით: «არა, უმაწვილებო, სთქვით თქვენა სონკა კი ვერ იტყვის, ამან არ იცის.» ამისთანა შემთხვევისთვის თქვენ მზათა გყავთ ან ჩიტი და ან სხვა რამე უმაწვილებისთვის ძალიან საინტერესო საგანი. როდესაც მორჩებიან ზღაპრების თქმას, ეტყვით: «უმაწვილებო, აი ერთი ჩიტი (ან რაც გეყოლებათ) მყავს, არ გინდათ გაჩვენოთ? ისინი დიდის სიამოვნებით მისცვივიან და შინჯვას დაუწყებენ. შინჯვის დროს თქვენის ლაპარაკით სცდილობთ გაუღვიძოთ წადილი საიდგან და როგორ იშოვეთ ეს ჩიტი? თუ ამას შეიძლებთ, უეჭველია, სონკაცა და სხვებიც მოგცვივიან ხვეწნით: «გვითხარით, როგორ იშოვეთ ეს ჩიტი?» «კარგი—თქვენ ეტყვით—მხოლოდ სონკასკი არ ვეტყვი, რადგან მაგან წინანდელებიც არ იცის.» ამ სიტყვებით თქვენ სუყველას, სონკას გარდა, წაიყვანთ და იმ ჩიტის ამბავს ეუბნებით. მაშინ კი მორბის სონკა და გეუბნებათ, მეც შემიძლიანო ყველა თქვენი ნალაპარაკევის თქმაო; მაგრამ თქვენ გამოუცხადებთ, რომ იმისთვის არ გცალიანთ და განაგრძობთ სხვებთან ჩიტის ამბავს. იმასაც კი უსაქმოთ არ გაუშვებთ და უეჭველად გაუჩენთ რასმე, მხოლოდ იქ კი არ მიაღებინებთ მონაწილეობას. შემდეგ რაკი სონკა დარწმუნდება, რომ თქვენი საკუთარი კმაყოფილებისთვის კი არ გინდათ, რომ იმან იმისი ნათქვამი გაიმეოროს, არამედ იმის ბედნიერებისთვისვე, მაშინ უეჭველია, ყურსაც სიამოვნებით დაგიგდებთ და აღარც თქმას დაიზარებს. აი, ამ მხრით არის უმაწვილის თავისვე დანაშაულობით დასჯა სასარგებლო ჩვენი მშობლები ჯერ არას ასწავლიან თავიანთ შვილებს და, თუ კი ასწავლეს რამე, ამ საშუალებიდგან ძალიან შორს არიან. ესეც კი უნდა გსთქვათ, რომ ამის აღსრულებაში მოყვანა და სასწავლებლებში ხმარება ესლანდელ სასწავლებლების წესდებულებებთან ძალიან ძნელია, მაგრამ ჯერ ამის მეტი გზაც კი არ არის, რომ მოვსპოთ საშინელი სორციელი დასჯა. რასაკვრელია ეს საშუალება საჭიროა უნდა შეეფარდდეს ყველა გარემოებებთან და შემთხვევებთან.

ალეველი.

1871 წელს 20 ივლისს

თბილისში.

---

## ბუნების მეცნიერებიდგან.

### ობობიები (ბორბალა, დედაბერა)

ობობის რა არის მეთქი, ვკითხე ერთ უსწავლელ კაცს.

— რომელი ობობის, ფეიქარა? აბლაბუდას რო გაბამს ხოლმე?

«ჰო.

— რა უნდა იყოს? ფეიქარა-ფეიქარა არის..... ჭიაა, მიპასუხა იმან; სრულებით დარწმუნებულმან, რომ კარგი პასუხი მომცა; ის კი არ იცოდა, რომ იმისი პასუხი მხოლოდ ორის წლის უმაწვილისთვის საკადრისი იყო, რომელ ც ყველა პატარა ცხოველს, რომელსაც კი დაინახავს,—ჭიას უძახის: პატარა კიბორჩხალასაც, მატლსაც, მორიელსაც, ობობასაც და სხვ.

ისევ ის ვკითხე ერთ ნასწავლ დიაკვანს.

«ობობის მწერი არის, მითხრა იმან და სრულებითაც არა ჰქონია ეჭვი თავის სიტყვების ჭეშმარიტებაზე, როდესაც ობობის სრულებითაც არ არის მწერი, მწერებს ტანი სამ ნაწილათ აქვსთ გაყოფილი-ობობიებს ორ ნაწილათ; მწერებს 3 წყვილი ფეხი აქვსთ—ობობიებს ოთხი წყვილი; მეტ ნაწილ მწერებს ფრთები აქვსთ—ობობიებს არც ერთი არა აქვსთ; მწერებს ულვაშები აქვსთ,—ობობიებს არა აქვსთ; ერთის სიტყვით მწერებსა და ობობების შუა დიდი გარჩევა ვსთქვით, როგორც რძით მკვებავთა და მფრინველებს შუა. ობობიები და სხვა ამათი ახალ ნათესავები სრულებით ცალკე ობობიას მსგავსების კლასს შეადგენენ, როგორც რძით მკვებავნი, ფრინველები, თევზები: მწერები და სხვ.

ობობიების ნათესავებში ბევრ ნაირი ცხოველები არიან; ისინი ჰაერშიაცა სცხოვრებენ, წყალშიაც, მიწაშიაც საჭმელებშიაც და კაცშიაც კი. მაგალითად ფერი ჭამია კაცის ტყავში სცხოვრებს, მეტად პირის სახეზე. ქეცის მიზეზიც ერთი პატარა ობობიას მსგავსი ცხოველია, რომელიც დამვრებს ტყავებში და სთხრის თავისათვის გზებს ტყავების ცხოველებში: ფერი ჭამია და ქეცის ისეთი პატარები არიან, რომ თვალით ვერც კი დაინახვიან, ამათთანავე პატარა არის ეს ობობიას მსგავსი ცხოველი, რომელიც მველ, გამხმარ ყველში ზოგ ალაგს აქცევს მტვრათ ხოლმე; ეს ფეშხვნილი (მტვერი) გამდიდებელ მ.ნაში რო გაშინჯო, ნახავ, რო სულ ამ ცხოველებისაგან და ამათი მველი ტყავებისაგან არის შედგენილი. ტკიპიც, რომელიც კაცს ტყავზე მიეკვრება და სისხლს უწოვს ხოლმე, ობობიების ნათესავია. მორიელი რომელმაც ისეთი საშინელი ჩხვლეტა იცის თავისი შხამიანისრით, რომელიც იმას კუდზე აქვს,—ისიც ობობიების ნათესავია.

თითონ ობობიები ხომ ყველას უნახავს, და ყველამ იცის, როგორი ეშინიანთ იმათი ბუზებს და სხვა ამისთანა პატარა ცხოველებს; მაგრამ იქნება ზოგმა არ იცოდეს, რა აქვს საშინელი ობობას, საშინელი აქვს პირი. ეს პირი თავისი ულვაშებით რვა ნაჭრისაგან შეუდგება; ორი ხომ ულვაში, ერთი ზემო ტუჩი, ორი ქვემო ყბა, ორი ქვემო

ყბა და ერთი ქვემო ტუჩი; ობობას კი პირი სულ ოთხი ნაწილისაგანა აქვს შედგენილი: ულვაშები არა აქვს იმასა და ტუჩები, მაგრამ იმისი ორი ზემო ყბა ბევრი მწერების პირის რვა ნაწილს აჯობებს; ეს ზემო ყბები სწორედ ჯიანჭველას ზემო ყბებს ეგავს: კავების მსგავსი აქვს; მაგრამ ამათ ყბებს შუა დიდი გარჩევაა: ჯიანჭველას უბრალო, მაგარი კავები აქვს, ობობას კი კავებში ლულა აქვს; ეს ლულა იმას უთავდება ჯირებით, რომელშიაც იმას ყოველთვის შხამი აქვს მომზადებული და აი სწორედ ეს შხამი არის საშინელი პატარა ცხოველებისათვის. საშინელათაც ხმარობს შხამს ობობა: ჩაერჭობს თავის კავებს ცხოველს, ჩაასხამს შხამს, მოჰკლავს, ამას წუწნის რაც რბილი შინაგანი აქვს ცხოველს და ცარიელ ქერქს და დააგდებს ხოლმე. ამასთან შეუცოდავი და ღარიბი ცხოველიც არის; რაც კი თავისზე უფრო სუსტი ცხოველი შეხვდება, მაშინვე მოჰკლავს; თავის ნათესავ ობობასაც კი არ დაინანიებს; ზოგჯერ არც კი სჭამს, მაგრამ მაინც მოჰკლავს ცხოველს, გაახვევს აბლაბუდაში და შეინახავს, შვილების გამოსაყვანათ ობობები კვერცხსა სდებენ. იქნება შენ გენახოს კიდეც აბლაბუდის პარკები, ობობას კვერცხებით სავსე დაკიდებული სადმე. ამისთანა პარკი რო შეამცნიო სადმე და ზაფხულის ბოლომდინ მოუხადო, იმასაც მოესწრები, რომ შიგ პარკში კვერცხიდამ პაწაწა ობობები გამოვლენ, ზოგ დიდ ობობას ამასთანა კვერცხიანი, ან ახლად კვერცხიდგან გამოსული შვილებიანი პარკი თან დააქვს. პატარა ობობები რომ გამოვლენ, მაშინვე ნადირობას დაიწყებენ. სჭამენ ბლომათ და იზდებიან თან; ასე რომ ამშიაც არა ჰგვანან ობობები მწერებს მწერები, რომ იციან ჯერ ჭიებათ გამოდიან კვერცხიდამ და მერე დაემსგავსებიან ხოლმე თავის მშობლებს; ობობები კი პირ და პირ კვერცხიდამ თავისი მშობლების მსგავსები გამოდიან; მეორეთაც მწერები როცა თავის მშობლებს დაემსგავსებიან, აღარ იზდებიან ხოლმე და ობობები კი დაბადების შემდეგ იზდებიან; თორემ კვერცხიდამ სრულებით პატარები გამოდიან.

მართლა ის კი დამავიწყდა მეთქი, რომ ობობები მწერებსავით ჰაერით ჰსუნთქავენ და ამისავით ჰაერის შესასუნთქათ გვერდებზე რამდენიმე ხუხრუტანები აქვსთ. რომელი ობობაც მინდორში ცხოვრობს, ან ხეზე, ან სახლში იმას სასუნთქავათ თავისი ხუხრუტანების გარდა არა უნდათ რა; მაგრამ ზოგი ობობა წყალში ცხოვრებს; ამისთანა ობობიამ წყალში საყოფნათ თავისთან უნდა შეინახოს ხოლმე სამყოფი ჰაერი.

ტყესა და სოფლის შუა ლერწმიანი ტბა არის. წყლის: იები, სამყურები და ჯანდრები აქა იქა მოჩანენ ჭრელათ ჭაობზედ. წყალში თევზებსა და ბაყაყებს გარდა სცხოვრებენ ათას ნაირი ჭიები კოღოებისა, სხვა და სხვა ბუზანკლებისა და სხვ., ამ ცხოველების მვლობელი—წყლის ობობაა, როგორც შინაური ობობა ბუზებისა და კოღოებისა. წყლის ობობა ჩადის ლერწმის ღეროზე ქვევით წყალში და სჭიმს იქ თავის აბლაბუდას მცენარეების შუა. პატარა წყლის ცხოველები წურბლები ებმებიან აბლაბუდაში და ობობა სჭამს იმათ. მაგრამ აი ობობა ლერწმის ღეროზე წყლის ზემოთ ავიდა იმან გამოუშო რაღაც წების მსგავსი წვენი და დაიფარა იმითი, როგორც იქით უკანა ნაწილი თავისი ბურთის მსგავსი ტანისა. ეს ლაქი გახმა, ზარის მსგავს ბუშტათ იქცა და მოჰმარდა სხეულს, ობობიამ აავსო ის ჰაერით, მიაბა აბლაბუდას ძაფები, მოსჭიდა და ჩაათრია წყალში. მერე ეს ბუშტი თავით აბლაბუდასთან ერთ მცენარეს მიაკრა და კიდევ ზემოთ ამოძვრა იმისთანავე ბუშტის გასაკეთებლათ. ესე აკეთებს ის ბუშტებს, ავსებს იმათ ჰაერით და აკრავს სხვა ბუშტებთან, მინამ იმისი ჰაერის შესანახავი ერთი კარგი კაკლისოდენა არ გახდება და ოთახს არ დაემსგავსება. მაშინ ობობა ჯდება ამ ოთახში და გაჭიმულ აბლაბუდას უყურებს: ხომ არავინ არ გაება შიგაო?

მერე ახლა მეორე ობობა—მამალი მოდისა და ამისთანავე სახლს იშენებს და თავისა და დედის სახლს შეუერთებს. ამ სახლში შენახული ჰაერი დიდ ხანს ჰყოფნისთ ობობებს სასუნთქავათ. მერე დედალი ობობა სხვა ოთახებსაც აკეთებს თავისი კვერცხებისათვის. ამ ოთახებში იმდენი ჰაერია, რომ ის კვერცხებიდამ გამოსულ ობობებს ეყოფად სასუნთქავათ, მინამ ისინი თითონ შეიძლებენ წყალში ჰაერის ჩატანას და შენახვას.

## ქაღალდის კეთება.

ჩვენ გავშინჯეთ ის ქარხანა, სადაც აკეთებენ მაშინის ქაღალდს. აქ ჯერ ჩვრებს დაჩალეჩენ, წვრილ წვრილად დაანაქურცლებენ, შემდეგ ცომივით აზელენ, ამ ცომიდგან ქაღალდის გაკეთება დაჭრა სულ მანქანით (მაშინით) მიდის. დიდი ხანი არ არის, რაც ამ მაშინებით სარგებლობს აღებ-მიმცემობა; იყო იმისთანა დროცა, როცა ქაღალდს ხელით, უმაშინოდ აკეთებდნენ; მაშინ ასე გაშინჯე მონმების დასაჩლეჩად ხმარობდნენ მძიმე და ცუდად გაკეთებულ მაშინებს. ამ ნაირ ქაღალდის საკეთებელს ეძახდნენ საბეგველს. ის მაშინები, რომლითაც ეხლა აკეთებენ ქაღალდს და რომელსაც ეძახიან როლნის მაშინას მოიგონეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააკეთეს ჰოლლანდიელებმა, და ამიტომ ამ მაშინებს დაარქვეს სახელი გ ა ლ ლ ა ნ დ ე რ ი. ხაზეგველები, რომლებსაც ეხლა კიდევ ხმარობენ ზოგიერთ დაბალ ქარხნებში, სადაც ამზადებენ უხეირო, დაბალი ხორტის ძონძებიდგან სქელ საუდო ქაღალდს, თავის დროზედ ესენი გააუმჯობესეს, გამოსცვალეს და გააკეთეს ისეთი ქაღალდის სამზადებელი მაშინა, რომელიც მძიმე ხელით, მუშაობა ძალიან უსუმბუქებდა. მერმე მოიგონეს ის მაშინაც, ანუ ყალიბი, რომლითაც იღებდნენ ქაღალდს თაბახებათ-ფურცლებად. პირველად ამ ნაირი ქაღალდის ფურცლების საჭრელი ყალიბი, ძრიელ ცუდად მუშაობდა, ეს ყალიბი გააკეთეს სამოცი წლის წინეთ. ქაღალდის საკეთებელი მაშინა მოიგონა რობერმა; ეს იყო უბრალო მუშა, რომელიც მუშაობდა საფრანგეთში დიდ საწერი ქაღალდის ქარხანაში. 1779 წელ. ამ მუშას გაუელვა თავში აზრმა, რომ ხელით მუშაობა როგორმე მაშინით მუშაობაზე გაეცვალა და კიდევაც გააკეთა ამან 1779 წელს. მუსთანა ხის მაშინა და ამითი სახელი გაითქვა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოიყვანა სისრულეში თავისი აზრი. მხოლოდ 1803 წ., ისიც ინგლისში, რობერის გამოგონილი მაშინით ისარგებლეს და პირველად ამათ იხმარეს საქმეში. ამ უკანასკნელ ათ წელში ბევრი რამ კარგი გაწყობილობა და გამარტივლობა მიუმატეს საწერი ქაღალდის მაშინას. აქამდინ ამ მაშინას მოსავლელად უნდებოდა ექვსი მუშა, ახლა კი ისე გააუმჯობესეს, რომ სამი მუშის მეტი აღარ უნდება, და უფრო ჩქარა და კარგა მუშაობს უწინდელზე.

რომ თვალი გადავავლოთ იმ საწერი ქაღალდის ქარხნებს, რომლებიც ასი წლის წინათ იყვნენ ჩვენ გაგვაკვირვებდა სიგვიანე და მუშაობის წინ წაუწევნელობა. უწინდელ დროში გარეცხილ, გაწმენდილ მჩვრებს ერთად შეაგროვებდნენ, რამდენსამე დღეს ეწყოასე, იმიტომ რომ დამბალიყო და ძაფებს აღარ ჰქონიყოთ უწინდელი სიმაგრე. ამ დამპალ მჩვრებს ჰზელდნენ, ბეგვდნენ, ჩეჩქვდნენ იმდენს ხანს, მინამ კარგად არ გაითქვიფებოდა-ცომივით. რასაკვირველია ამ გვარი დაჩლეჩის დროს მეტი შრომის გარდა, ბევრი მასალა უნდებოდა; ბევრი ჩეჩქვისაგან ხანდისხან ძაფები ძონძებისა სრულებით იგლიჯებოდნენ, სწყდებოდნენ, ასე რომ ერთმანერთს აღარ ედგებოდნენ ქაღალდის ფურცლის ამოღების დროს. ამ ნაირი გაკეთებული ცომისაგან ძალიან უხეირო მდნარი ქაღალდი კეთდებოდა. თან და თან, დროს განმავლობაში ახალ-ახალ სამუშაო მაშინები მოიგონეს, რომლებიც ძლიერ ამსუბუქებდნენ ხელით მჩვრების ბეგვას ის მაშინები, რომლებსაც ეძახიან ღოლლანდურებს, ეს წარსულ საუკუნის ნახევარში შემოვიდა. ამ მაშინაზე მუშაობით დიდ დროებას იგებდნენ მუშები, რადგანაც დროც და ძალაც ორით ნაკლები უნდებოდა, ვინემ უწინდელ მაშინებს.

ამ საუკუნის დაწყებამდინ არ იცოდნენ ის, რომ ყოველი ძონძებიდგან ქლორის შეწეობით შეიძლება თეთრი ქაღალდი გაკეთდეს. უწინ თეთრ ქაღალდს აკეთებდნენ სუფთა თეთრი ძონძებისაგან, და ამისთვის იყო ის ძვირი.

როდესაც წინეთ ძონძებიდგან მოამზადებენ ცომს, ანუ ფელამუშს, ჩაასხმენ ქილებში იქიდგან ამოიღებენ და დაასხმენ ქაღალდის მოსაჭრელ ყალიბზე. ამ ყალიბს გარდაკრული აქვს წმინდა ჩითი. რომ დაასხმენ მიანძრ-მოანძრევენ ყალიბს. ცომი ყოველს ადგილს გასწორდება. ყალიბში ცომის სისწორეში მოყვანისთვის იმ გვერდს ყალიბისას, რომელსაც ჩითი აკრავს, ჩაუშვებდნენ ქილაში, სადაც ცომი იყო. შიგ შეარხევდნენ ხოლმე ყალიბს და ამნაირათ თანასწორი სისქის ნედლი ქაღალდის ფურცელი ამოდიოდა ჩითზე. აქ თავდებოდა პირველი ნახევარი საქმისა. შემდეგ ამისა მუშა ამომღებელი ანუ გამკეთებელი ქაღალდისა აძლევდა ფორმას თავის თანაშემწეს,—მთელავს. მთელავი აიღებდა მაუდის ნაჭერს და გადაავლებდა ხოლმე ყალიბში გამოყვანილ ფურცელს და ფორმას გადააბრუნებდა: მაუდს ზედ მიკრული ქაღალდის ფურცლით ხელზე იდებდა და მერე ის დასტებად აწყობდა. მაუდს ზედ მიკრული ქაღალდით ჩასდებდნენ ხოლმე ფიცრებს შუა და ჰაგრა გაჭქაჩავდნენ, რომ ლამაზათ გასწორდეს და გაკალაპოტდეს. მერე იმ ნახევარზე გამშრალ ქაღალდს აცლიდნენ მაუდს, ერთი კიდევ ჩასდებდნენ ფიცრებს შუა (პრესსაში) მოსაჭერად გამოღების შემდეგ გზავნიდნენ გასაშრობად საშრობელ სახლში, სადაც გაბმულია ხოლმე წვრილი სარეცხის თოკი, ამ თოკებზე გადაჰკიდებდნენ ქაღალდს და შრებოდა. ქაღალდის გაკეთებას ამნაირის ღონისძიებით, ე. ი. ხელით ეხლაც არის; ამ ნაირ კეთებას ეძახიან «ამოსაღებ ღონის ძიებას».

მიჩვეული ხელოსნები გასაოცარ სისწრაფით და ხელოვნებით აკეთებენ ქაღალდს. თუმცა ძრიელ გაჩვეულები არიან, მაგრამ დღეში ექვსი ათას ფურცლის მეტს ვერ აკეთებენ; მარტო ორი კაცი, რომლებიც ზევით იყო მოხსენებული ვერ ჰყვა ქაღალდის კეთებას; ამათ ჰყავთ სხვა მუშები, რომლებიც შემწეობას უწევს, მაგალითებრ: მომჭრელები, ფურცლების მზიდველები საშრობ სახლში და სხვ. ერთის ლექსით, რასაც ერთი (საწერი) ქაღალდის მაშინა გააკეთებს ერთს დღეს, იმაზედ უნდებოდა ას ოთხმოციდამ ას ოთხმოცდა ათამდინ მუშა კაცი და დედაკაცი. ამისთანა ხელით მუშაობის მაშინის მუშაობაზედ

შეცვლამ ძალიან გააიაფა ქაღალდი; ისევ ადრევა, როდესაც ქაღალდის მკეთებელი მაშინები გამოიგონეს ე. ი. ამ სამოცი წლის წინათ, და როდესაც ვერ იყვნენ კარგათ სისრულეში მოყვანილები ერთი ოთხად გააიაფეს ქაღალდი და ეხლა უფრო მაშინები სისრულეში არიან მოყვანილები და ბევრსაც აკეთებენ და რასაკვრელია, რომ უფრო იაფობა იქნება ქაღალდისა.

რადგანაც ხელით მუშაობას მაშინით მუშაობა სჯობია და სარგებლობაც-დიდი აქვს, ამისათვის ხელით მუშაობას სცვლიან მაშინას მუშაობაზედ; ეცხო ქვეყნებში მაშინებით აკეთებენ სხვა და სხვა გვარ ქაღალდს, მაგალითებრ: დერბოვის ქაღალდს, ვექსილისას, ასიგნაციისას, სხვა და სხვა სამხატვრო ქაღალდს, (კარტონი) და სხვას. ზედნი აკეთებენ მარტო მესახვევ ქაღალდს რადგანაც არა აქვსთ იმდენი შემლება რომ კარგი ქაღალდის მაშინები მოიპოვეს. ეხლა რუსეთში უფრო მომატებულად ძველებურად ხელით აკეთებენ ქაღალდს. უნდა ვიცოდეთ, რომ ხელით გაკეთებულს ქაღალდს უფრო ზევით აყენებენ მინამ მაშინისას, ამიტომ რომ ხელით გაკეთებული ქაღალდი კარგათ გამოდის, ბეწვები მაგრა ჩაეკვრებიან ხოლმე. მაშინას შეუძლიან ეს ნაკლულევანებაც მოიყვანოს აღსრულებაში თუ მაშინა კარგათ მოწყობილია და ნელ ნელა ამუშავებენ. ზოგიერთ გვარ ქაღალდს მაგ. დერბოვისას და ასიგნაციისას უნდა ჰქონდეს ისეთი პატარ პატარა სახეები, რომ არც კი ჩნდეს ზევიდგან. ეს სახეები უფრო კარგათ გამოდის ხელით გაკეთებულ ქაღალდში.

ხან და ხან, რომ ყალბი ფული არ შემოგვატყუვონ გავხედამთ ხოლმე შიგ მზეზედ და როცა დავინახავ იმ ფულის ფასის ნიშანს მაშინ დავრწმუნდებით, რომ მართალი ფული არის. ეს ესეა მაგრამ ჩვენ კი არ ვიცით როგორ ადვილათ გაუკეთებენ ხოლმე ამ ნიშანს. ამ სახისა ანუ ნიშნის ქაღალდზედ გამოყვანა ძალიან ადვილია.

თუ საწურავი, რაზედაც აკეთებენ, თაბახებათ გაკეთებულია ერთნაირი მართულებისაგან ქაღალდი გამოვა სწორე და თუ სიგანეზედ ან სიგძეზედ სხვილი მართულები აქვს ჩართული საწურავსა, მაშინ გამოვა ქაღალდი ზოლ-ზოლათ დახაზული, თხელ ტილოზედ შეკერილი რამ სახე რომ მივაკეროთ საწურავს, გამოვა სახე. ამისთანა სახეები უფრო კარგათ კეთდება ხელით, მაგრამ შეიძლება მაშინაშიაც გამოიყვანონ სახეები. აი მაგალითებრ: სახიანი და დახაზული ფოშტის ქაღალდი მაშინაში კეთდება, მაგრამ კარგი კი არის.

ერთისა და იმავე მონმებისაგან შეიძლება მომზადდეს სხვა და სხვა ნაირი ქაღალდი, მაგ. მოტივტივე, გასაშვები, რომლებიც არიან გამოსადეგი რისამე საბეჭდავათ და სახვევათ და მაგარი სქელი ქაღალდი, რომელსაც საწერად ხმარობენ, და ქაღალდი წებოიანი.

წებოიანი ქაღალდის მოსამზადებლად სხვა და სხვა ნაირ ღონისძიებას ხმარობენ: როდესაც ქაღალდის ფურცელი მომზადებულია, ან მაშინ გააწებოებენ, ან მაშინ გააკეთებენ ქაღალდს ამ წებოს უზმენ თვით ცომს-ეს არ ამლევს ქაღალდს სიმაგრეს. სიმბალეს; უფრო კარგი და მაგარი არის ის ქაღალდი, რომელსაც აწებოვებენ ცხოვლის წებოთი. უწინდელ ქაღალდს უშვრებოდნენ უბრალო წებოს დაალობდნენ და მის წვენში ასველებდნენ თვითეულ ფურცელს და მერე აშრობდნენ. შემდეგში ცომს უზამდნენ ხოლმე წებოს და მაშინის ქაღალდის გაკეთება ძალიან იაფათ უჯდებოდა; ამ გვარის გასაწებოებელი ქაღალდისთვის ცხოვლის წებო არ ივარგებს; წებოიანი ცომი თანასწორე ფურცლებად იქვე ამოდის და საწურავ-საცერს ახდენს,. ქაღალდის ცომის გასაწებოებლათ ხმარობენ სხვა გვარ ნივთებს. ხშირად აწებოებენ სახამებელ და ფისის ნარევი ნივთებით: აიღებენ ფისს, გარშ.უს ანუ კანიფოლს და ურევენ ნაცარტუტში,—ამ ნარევიდგან კეთდება ნერწყვის ნაირი ნივთი, ამას ხსნიან წყალში, ათბობენ და სახამებელში ურევენ; ეს აბურცდება, მერე უმატებენ შაბს. ამ ნაირათ მომზადებულ თხელ ნივთს ჩაასხმენ ქაღალდის ცომში და მერმე აკეთებენ ფურცლებს. საზოგადო ქაღალდის ცომს აწებოვებენ მხოლოდ ერთის ფისით და შაბით. სახამებელს აღარ ურევენ. თუ უნდათ რომ ელვარე ბჭყვრიალა ქაღალდი გააკეთონ უმატებენ ცოტას წმინდა სანთელს. ამ გვარი ნივთებიდგან დაწებოვებული ცომისაგან მაინც კიდევ წებო ნარევ ქაღალდზე ცუდი ამოდის., იმ ცომიდგან რომელსაც უშვრებიან ცხოვლის წებოს, ამოდის მაგარი და სიპი ქაღალდი. ეს ქაღალდი ადვილად ირჩევა პირველისაგან. წებო ზემოთ არის ქაღალდზე გასიპული; დანით მალე გადიფხიკება, მაგრამ წერის დროს მელანს აღარ იჭერს, შიგ ვარდება. რუსული ქაღალდი საზოგადოთ ცუდათ წებოვდება; ქაღალდი კარგია ინგლისისა; მიზეზი ამისი არის ისა, რომ ცომს ფისს მაგივრად უშვრებიან-წებოს. თვითონ ქაღალდის დანებავება ინგლისში ხელით კი არა, მაშინით სრულდება. გააშრობენ თუ არა შედებულ ქაღალდს, მაშინვე საწერი ქაღალდის მაშინიდგან მიაქვთ წებოს სასროლ მაშინასთან. ეს მაშინა საკვირველ საქმეს ჩადის აწებოვებს წებოთ ქაღალდს და აშრობს. უკანასკნელ დროში რუსეთშიაც დაიწყეს წებოვება ქაღალდის ინგლისურად. რუსეთში არის ორი შესანიშნავი ქაღალდის ქარხანა (ნევსკისა და პეკროვსკისა.) ამ ქარხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებში ზოგიერთს სორტის ქაღალდს აწებოვებენ ინგლისურად. არ იქნება აქ ურიგო შევნიშნოთ, რომ როდესაც ვაწებოვებთ ცხოველის წებოთი ქაღალდს, მაშინ დაწებოვების ჟამს შეიძლება სელიან ძონძებში აურიოთ კარგა ბლომათ ქაღალდის ძონძები. თუმცა ბამბის ქაღალდის ბეწვი სუსტია, მაგრამ კარგათ გაწებოვებულ წებოთი ქაღალდში, ბეწვი ბევრით არ ჩამოურჩება წმინდა სელიან ბეწვს.

დაწებოვების გარდა ქაღალდის ცომს ამწვანებენ. სიმწვანე ჰკარგავს სიყვითლეს და ქაღალდი თეთრდება; როგორც მრეცხავები ალილავებენ სარეცხს, ისე ქაღალდის გალილავება, გამწვანება ბევრ შემთხვევაში საჭიროა. ქაღალდის გასამწვანებლად ხმარობენ საღებავს, რომელსაც ეძახიან ულტრამარინს; ჩვენ ე. ი. რუსეთის ქარხნებში ხმარობენ ხშირათ უფრო სხვა საღებავს, რომელიც უფრო იაფია, სახელდობ ბერლინურ ლაჟვარდს ანუ მწვანე საღებავს, მაგრამ კარგი სორტის ქაღალდისათვის არც ლაჟვარდი და არც საღებავი არ გამოდის. ხანდახან გამწვანების დროს საღებავთან ქაღალდების ცომს უშვრებიან უმარილს ანუ დანაყილ ჭიქის მსგავს ქვას, ანუ კიდევ კარქ თეთრ თიხას. თეთრი თიხა მეტად ათეთრებს ქაღალდს, გარდა ამისა ამაში თვითონ მექარხნეს სარგებლობა, გამორჩენა აქვს—ქაღალდი წონაში მატულობს; სავაჭროში ქაღალდს მარტო გარეგანი სახით არ აფასებენ, წონასაც უცქერიან: რამდენიც მძიმე იქნება ქაღალდი, ამტენად უფრო კარგია და ძვირათაც ფასობს.

როდესაც ფერად-ფერად ქაღალდის გაკეთება უნდათ, მაშინ დაბალი სორტებისთვის ღებენ ფერად-ფერად ძონძს; კარგი მაღალი სორტის ქაღალდის გასაკეთებლათ, მ ღლებს ფოშტის ქაღალდისთვის და სხ., მომხედებულ ქაღალდის ცომს აფერადებენ საღებავით ისე როგორც მწვანე საღებავით ლაჟვარდით ღებენ ხოლმე როგორც ცოტათ შემწვანებულ ქაღალდს, ისე კიდევ სრულებ თ მწვანეს.

---

## რა გავლენა აქვს კაცის სიმრთელეზე სადგომ სახლებს და ადგილს.

თუ გვსურს, რომ ფეჩის გახურების დროს ოთახის ზემოთა ძველი და გაფუჭებული ჰაერი იწმინდებოდეს, ამისთვის სანაცრიდამ, ფეჩის უკან უნდა გაიყვანოთ მილი ჭერებამდის და ან შევურთოთ იგი ოთახის ჰაერს, ამ დროს ფეჩის კარები დახურულები უნდა იყვნენ. ამ სახით ფეჩს შეეძლება მიიზიდოს ზემოთა გაფუჭებული ჰაერი, მაშინ როდესაც ახალი შემოსული გრილი ჰაერი, როგორც მძიმე გამთბარ ჰაერზე, იქნება დაბლა და როდესაც კი გათბება, მაშინ ესეც ნელ-ნელა წავა მაღლა. ამ გვარათ შეიძლება მოვაწყოთ როგორც ის ფეჩები, რომლებიც ოთახს გარეთ ხურდებიან, აგრეთვე *циркулирующія печи*.

კარგათ გაკეთებულ ჰაერის საბერველს შევხვდებით მხოლოდ საავათმყოფოებში რამოდენ სამე სასტუმროებში, მაშინ როდესაც საყველამ იცის, თუ რა სასარგებლოა ჰაერის გაგრილება სადგომ სახლებში და საწოლებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათში წვანან ავათ-მყოფები და ცუდის დარის ან სიცივის გამო არ შეიძლება ფანჯრების გაღება. ამისათვის სასურველი იქნება, რომ ახალი სახლების აშენების დროს წინათვე იფიქრონ ხოლმე სახლში კარგათ ჰაერის ტარებაზე. ეს ძალიან ადვილად გაკეთდება, თუ კომლის ასავალ მილს გარდა კედლების სიგანეში სხვა მილებსაც გავიყვანთ სხვა და სხვა ოთახებში, მხოლოდ ამ მილებს საყველას უნდა ჰქონდეთ თავ სახურავი, რომ ახდაც და დახურვაც შეგვეძლებოდეს. როდესაც ყველა ამ მილებს გაიყვანენ ერთ საზოგადო კომლის მილში, მაშინ მოხდება ხოლმე, რომ ძლიერი ქარების და სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, კომლი სახლში შემოდის ხოლმე; თუ გვინდა ამ ნაკლულევანებას ავცდეთ, მაშინ ეს მილები კედლებში უნდა გაიყვანოთ, ესე გაკეთება კიდევ იმითიც არის კარგი, რომ გრილი ჰაერი, რომელიც ამ მილებიდამ ჩამოდის ოთახში, ისე თბილი არ იქნება, როგორც იმ მილებში. რომლებიც კედლებში არ არიან. სახლებისათვის უმჯობესი იქნება ვიხმაროთ მოგრძო და თანასწორედ მრგვალი თუნუქის ან ქვის მილები, რომლებიც ადვილად შეიძლება გაიწმინდოს ჩოჭოქებით. ისინი ისე საშიშრები არ არიან როგორც დიდი განიერი მილები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჰაერის საბერველს დამე, როდესაც ოთახები განათებულები არიან ხოლმე ისეთი სანათებით, რომლებსაც ცუდი სუნი უდით. ბაზარში არ უნდა გაგყიდვიონ; ესევე უნდა მოვექცეთ დაზებს (ძნთებაბარე ჭაურგვას; დაზი არ სად უნდა ჟონავდეს.

სახლის ავეჯები უნდა ძალ-ძალე გაამზეონ ხოლმე, რომ გასუფთავდენ, თორემ ყველა ცუდი, ტალახი და აყროლებული რამეები მავნებელ ჰაერს შეადგენენ და ეს ძალიან ავნებს კაცის სისაღეს. მებელი, რომელიც ცხენის ბალნით, ჩალით და თმით არიან გატენილები, უნდა წელიწადში რამდენჯერმე გაამზეონ და გარეცხონ ხოლმე გამოფულრული ხეები მაგარი რითიმე უნდა ამოვამსოთ, რომ ბუზები აღარ ჩამვრნენ შიგ. თუ გვინდა ჩრჩილი გავაწყოთ, ხარის ნაღველა უნდა ვიხმაროთ ხოლმე. საწოლზედ და ქვეშაგებზედ შემდეგში მოვილაპარაკებთ.

კაცის სიმრთელეზედ ძალიან ცუდი გავლენა აქვს ფეხის ალაგებსაც, თუ რომ იგინი უალაგო ალაგას არიან გაკეთებულები. ფეხის ალაგები, რაც შეიძლება სადგომ სახლებზე მოშორებით უნდა იყვნენ, რომ ცუდ

ჰაერს აღარ შეეძლოს მცხოვრებლების სისაღეზე მოქმედება. ფეხის ალაგების უადგილოდ აშენება იმისთვის არის ცუდი, რომ იმათგან ადის ცუდი სუნი, აფუჭებს ჰაერს და ავრცელებს სიმყრალეს, რომელიც ძალიან უსიამოვნოა კაცისათვის. აი, ყველა ის პირობები, რომლებიც საჭირონი არიან ყველა სახლებისათვის. იმ გვარი სასახლეებისთვის კი, რომლებსაც განსაკუთრებითი მიზანი აქვთ დანიშნული, უნდა იყვნენ აშენებულები ისე კარგად, რომ არამც თუ შეეძლოს თავის დანიშნულების ასრულება, არამედ უნდა კიდეც დაიცვას სისაღე მცხოვრებლებისა.

მაღაზიები ანუ დუქნები შეიძლება მავნებელი იყვნენ შიგ მცხოვრებლებისათვის, თუ რომ იგინი უხეიროდ არიან აშენებულები, კარებები და ფანჯრები უხეიროდ იხურებიან და არა აქვთ ვენტილაცია ანუ ჰაერის გასაწმენდი მანქანა, ან თუ აწყვია იმათში იმისთანა ნივთები, რომლებიც ცუდ სუნს უშვებენ.

ესევე შეიძლება ვთქვათ ფაბრიკებზე და სახელოსნოებზე. განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მივაქციოთ ვენტილაციას იქ, სადაც ცუდი სუნიანი ნივთები კეთდება, ან იყიდება.

სამზარეულს, თუ იმაში ხორცი ყროლდება, შეიძლება ძალიან ცუდი გავლენა ჰქონდეს კაცის სიმრთელეზე, ამისათვის სამზარეულოები სადგომ სახლებზე მოშორებით უნდა იყვნენ. აქ საჭიროა სისუფთავე, სისხლი და სხვა უვარგისი ხორცის ნარჩენები უსათუოთ უნდა გაიტანონ და გადაყარონ შორს სადმე. უფრო დიდი უწმინდურობა საყასბოებში არის ხოლმე და ამისათვის ყასბებს დიდი გაფთხილება ჰმართებთ. ქონი და სხვა ამ გვარი ნივთები არ უნდა ჰხადნონ იმ სახლში სადაც მცხოვრებლები ცხოვრობენ. ძალიან კარგი იქნება, რომ სარეცხს საცხოვრებელ სახლს გარეთ იდგამდნენ ხოლმე. ეკლესიებს, თეატრებს და სხვა შენობებს, რომლებშიაც ხალხი მალ-მალე იკრიბებიან ხოლმე, კარგი ჰაერი უნდა ჰქონდეთ, საკმაო სინათლე უნდა შედიოდეს და საკმაოდ უნდა იყვნენ გახურებულები ზამთარში.

* * *

შკოლებში იზდებიან იმისთანა ბავშვები, რომლებიც ან ობლები და ან თავიანთ მშობლებს მოშორებულნი არიან, იქამდისინ, სინამ იგინი არ გახდებიან იმოდენაები, რომ შეეძლოთ ლუკმა პურის შოვნა. ყველა სახლი სადაც კი ყმაწვილები იზდებიან, უნდა იყოს ყველაფრით მოწყობილი და შემკული, რადგანაც აქ, მომეტებული ნაწილი, სუსტი ავათ-მყოფი ყმაწვილები არიან.

* * *

საპყრობილეებში იჭერენ იმისთანა კაცს, რომლებიც ან სჯულის წინააღმდეგ მოიქცევიან და ან დააშავებენ რასმე. ბარბაროსულს საშუალო საუკუნეებში საპყრობილეში დაჭერა შეადგენდა ჩვენს ეხლანდელს სასჯელსად. მხოლოდ ჩვენ დროში მიაქციეს დიდი ყურადღება საპყრობილეებს. ძველ დროში საპყრობილეები იყვნენ დედამიწაში ღრმად ჩადგმულები და იყვნენ ცუდის და ცივის ჰაერით გატენილები, ამასთანავე იყვნენ ბნელები და სავსე კოდოებით, ხვლიკებით, და ბაყაყებით და სხვა-და-სხვა მწერებით. ჩვენ დროში კი, ეს საპყრობილეები გადაიქცნენ, განათებულ და თბილ ოთახებად; ხალხი ამასაც არა ყაბულობს და თხოულობენ, რომ უფრო მრიელ გააუმჯობესონ. პირველად ყურადღება უნდა მივაქციოთ საპყრობილების შენობას. ისინი არ უნდა იყვნენ აშენებულები იმისთანა ალაგას, სადაც ჭაობიანი და ნოტიო ალაგია. საპყრობილები გაშლილ ალაგზედ უნდა იყვნენ აშენებულები. ოთახები და საკმაო ზალები უნდა განათებულები იყვნენ და კარგი (ჰაერის გასაწმენდი მოწყობილობა ჰქონდათ. ოთახების გათბობას ზამთარში დიდი ყურადღება უნდა
მივაქციოთ, რომ (სითბო) ყოველთვ
ერთნაირი იყოს და ცოტაოდენი სინ
ტიეც უნდა ჰქონდეს, რომელიც საჭიროა კაც
სიმრთელესათვის. ოთახების დერეფნები უნ
იყვნენ განიერები, განათებულები და იმ გ
რად აშენებულები, რომ ტუსაღებს ავად
დროს შეეძლოთ გასეირნება. ეზოები, სად
ტუსაღები ან მუშაობენ და ან სეირნობენ.
და იყვნენ განიერები და არ უნდა ერტყ
გარეშემო მაღალი კედლები, რომლებიც წმ
და ჰაერს უშლიან შესვლას. საჭმელი ტუსაღ
ბის მდგომარეობას უნდა შეეფერებოდეს.
ვის უფალ კაცს ცუდი საჭმლის ჭამა არ
აწყენს, თუ მომეტებული არა ჭამა. საპყრ
ბილეში ცხოვრებას კი დიდი გავლენა აქვს კაც
კუჭზედ. ამისათვის საჭმელი არამცთუ უნდა შე
ფერებოდეს ტუსაღებს, რომელნიც მუშაობენ, ა
მედ უფრო გემრიელი და კარგი უნდა იყვ
თუ ტუსაღი დიდის ხნობით არის დაჭერილ
იმისთვის საჭიროა ხორცის საჭმელი. რ
დესაც კაცი ცოტახნობით არის დაჭერილ
მაშინ საჭმელს არა აქვს მრიელ ცუდი გავლ
ნა, ამისათვის ხორცის საჭმელი მრიელ ს
ჭირო არ იქნება. გამოცდილებით დამტკიც
ბულია, რომ სადილს უკან ჩაის დალე
უფრო დიდი სარგებლობა მოაქვთ კაცისა
ვის, სინამ სუფს. პურუჭმ ლობით დასჯ
ანუ მარტო წყლის და პურის მიცემის ს
ლებით თავი უნდა დავანებოთ.

ქალაქში იყიდება
სემინარიაში და სხვა ალაგებში.
წიგნი
სიბრძნე სიცრუისა
თქმული
სულხან-საბა ორბელიანისა.
ფასი ათი შაური.

*Дозволено цензурою Тифлисъ, 30 Октября 1871 г.* დუბელირის. (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელ